სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

02503311354324

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N240355915

რეგისტრაციის თარიღი

25.03.2024 წ

ნოტარიუსი: დავით ჩალათაშვილი
მისამართი: თბილისი, მტკვრის ქუჩა #4
ტელეფონი: 599336099

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაოთხი წლის ოცდახუთ მარტს მე, დავით ჩალათაშვილს საქართველოს ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, მტკვრის ქუჩა #4, მომმართა **სოსო მაჩაიძემ**, როგორც შპს **„გუმბათი ჰოლდინგი“-ს** (ს/კ:404473431) დირექტორმა, მთხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მეშვეობით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **სოსო მაჩაიძემ** (დაბ.:21.12.1979წ., რეგისტრირებული მისამართი: თბილისი გიორგი გურამიშვილის ქ. N 5 ბ. 46, პირადი # 35001015126, პ/მ სერია 13IF13889), მომმართა. ასევე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი მის ქმედუნარიანობაში. მე ასევე შევამოწმე მისი უფლებამოსილება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B23162565, 10/11/2023 18:42:08) და შპს **„გუმბათი ჰოლდინგი“-ს** (ს/კ:404473431) წესდების საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ **სოსო მაჩაიძე** ნამდვილად არის შპს **„გუმბათი ჰოლდინგი“-ს** (ს/კ:404473431) დირექტორი. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომელიც მოიწონა **სოსო მაჩაიძემ** და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

რწმუნებულება

მე, **სოსო მაჩაიძემ** (რეკვიზიტები მითითებულია ზემოთ), როგორც შპს **„გუმბათი ჰოლდინგი“-ს** (ს/კ:404473431) დირექტორმა, ამ მინდობილობით, ბატონ **კობა ძლიერიშვილს** (დაბ.:02.08.1971, პირადი# 35001005358) და შპს „ქართველი **ხუროთმოძღვარი**“-ს (ს/კ:416302423, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. რუსთავი, 1 მაისის ქუჩა, N 25, ბ. 8), როგორც ერთად, ისე ცალ-ცალკე, შემდეგში „რწმუნებული“, მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

რწმუნებული:

1. იცავს **სოსო მაჩაიძის, როგორც შპს „გუმბათი ჰოლდინგი“-ს დირექტორის** ქონებრივ და არაქონებრივ ინტერესებს, ამ მიზნით მას წარმოადგენს ნებისმიერ სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებაში, ადამინისტრაციულ დაწესებულებაში, საქართველოს ნებისმიერ სამინისტროში, ქ. თბილისის მერიაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში (გამგეობებში), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მის ტერიტორიულ სამსახურებში, ნებისმიერ არქივში, სანოტარო ბიუროში, სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, ქონების მართვის სამსახურში, სამთავრობო თუ არასამთავრობო დაწესებულებებში, იუსტიციის სახლში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან და სხვა ნებისმიერ ორგანიზაცია-დაწესებულებებში;

2. იყოს **სოსო მაჩაიძის, როგორც შპს „გუმბათი ჰოლდინგი“-ს დირექტორის** წარმომადგენელი ნებისმიერი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებში (მერია, გამგეობა, მუნიციპალიტეტი) და მათ სამსახურებში, მათ შორის არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, რათა ნებისმიერ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით ჩემი, როგორც **შპს „გუმბათი ჰოლდინგი“-ს დირექტორის** სახელით წარადგინოს, გამოითხოვოს, მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი, ცნობა, ინფორმაცია, განცხადება, ნებართვა, ჩემი სახელით აწარმოოს პროექტირებასთან, მშენებლობის ნებართვის მიღებასთან, გადავადებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობა, წარადგინოს და შეათანხმოს პროექტი, შეიტანოს ცვლილება არსებულ პროექტებში, მიიღოს ნებართვა, მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტებს, მათ შორის განახორციელოს ჩემი სახელით ელექტრონულად ხელმოწერა შესაბამის განცხადებაზე და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

3. **რწმუნებული** უფლებამოსილია **სოსო მაჩაიძის, როგორც შპს „გუმბათი ჰოლდინგი“-ს დირექტორის** სახელით შეიტანოს განცხადებები, წარადგინოს, გამოითხოვოს და მიიღოს ყველა საჭირო ცნობა, საბუთი და მოწმობა, გადაიხადოს გადასახადები, მოაწეროს ხელი ყველა საჭირო საბუთს და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

რწმუნებულება ძალაშია 2026 (ორი ათას ოცდაექვსი) წლის 25 (ოცდახუთ) მარტამდე. რწმუნებულება გაცემულია სამ ეგზემპლარად, რომელთაგანაც ერთი ინახება ნოტარიუს დავით ჩალათაშვილის სანოტარო ბიუროში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მარწმუნებელს. მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროში თან ერთვის შემდეგი დანართი დოკუმენტები: 1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან; 2. შპს **„გუმბათი ჰოლდინგი“-ს** წესდება ინახება ჩემს სანოტარო არქივში, რეგისტრაციის #190909281. გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის განკუთვნილი სახელმწიფო ბაჟი, საქართველოს მთავრობის 2011წ. 29 დეკემბრის #507 დადგენილებით დამტკიცებული - „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფო ბაჟისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობები, მათი გადახდევინების წესი და მომსახურების ვადები“-ს შესახებ 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად 30 (ოცდაათი) ლარი, დღგ 5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა და 39 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური - 5.00 (ხუთი) ლარი, სულ 40.40 (ორმოცი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი.

ხელისმოწერა:

სოსო მაჩაიძე

(შპს **„გუმბათი ჰოლდინგი“-ს** დირექტორი)

ნოტარიუსი

დავით ჩალათაშვილი